პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 55 (3539)

20 მარტი, 1968 წ., ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ორი „ბრინჯაო"

როგორც [illegible] წინათ ლონდონში გაიმართა ევროპის იუნიორთა პირადი პირველობა ძიუდოში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ორი ნორჩი ათლეტი საქართველოდან: შ. ფიცხელაური (მჩატე წონა) და ს. ბადალიანი (მსუბუქი წონა). ორივე ძიუდოისტმა III საპრიზო ადგილი მოიპოვა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.



მოსკოვში, „კრილია სოვეტოვის" დარბაზში გრძელდება სსრ კავშირის, გდრ-ის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ევროპის პირველმა ჩოგანმა, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონმა ზ. რუდნოვამ ჯერ თანამემამულე ვ. ვოლკოვას მოუგო, შემდეგ კი ბრწყინვალე სტილში სძლია შვეციის წლევანდელ ჩემპიონს მ. ნეიდერტს.

ვაჟებში ორი გამარჯვება მოიპოვა ევროპის პირველმა ჩოგანმა, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა ს. გომოზკოვმა, რომელმაც ზედიზედ მოუგო გდრ-ის ცნობილ სპორტსმენებს ვ. შტეინსა და ვ. ფატერს. კარგად ითამაშა ჩეხოსლოვაკიელმა ი. სტანეკმაც. შეჯიბრების პირველ დღეს მან დაამარცხა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი დ. ბროდსკი და ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელი გ. ვარდანიანი.

სურათზე: მიმდინარეობს შეჯიბრება.

# გამარჯვება უშეღავათო ბრძოლაში

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

კაუნასსა და ივანო-ფრანკოვსკში გაიმართა სსრ კავშირის ხელბურთელთა ჩემპიონატის II ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ ქალაქებიდან ტელეფონით მიღებულ ცნობებს.

კაუნასი, 19 მარტი. თბილისის „ბურევესტნიკისა" და კაუნასის „ჟალგირისის" მატჩები მუდამ უშეღავათო ბრძოლით გამოირჩევა (სხვათა შორის, განვლილ ჩემპიონატებში ბედი უფრო ხშირად კაუნასელებს სწყალობდათ). ამ გუნდების შეხვედრა ახლაც ძალიან დაძაბული იყო. საკმარისია ითქვას, რომ მატჩის მანძილზე 15-ჯერ შეიქმნა საყაიმო მდგომარეობა. ამასთან, თუ რომელიმე გუნდი დაწინაურდებოდა, მხოლოდ ერთი ბურთით. საბოლოოდ გამარჯვების სასწორი თბილისელთა მხარეს გადაიხარა — 17:16 (8:8). „ბურევესტნიკის" ხელბურთელებმა წარმატებას ძირითადად სწრაფი კონტრშეტევების წყალობით მიაღწიეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სსრ კავშირის ნაკრების წევრი ი. ფხაკაძე, რომელმაც პირველი შეტევიდან რამდენიმე ლამაზი გოლი გაიტანა.

კიდევ 2 ქულა აიღეს ტაშკენტის ბურევესტნიკელებმა, რომლებმაც დაამარცხეს მინსკის „პოლიტექნიკი" — 29:25 (14:11). ორი ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ერთადერთი ტაშკენტელთა გუნდი ლიდერობს (4 ქულა). ზაპოროჟიეს „ალუმინსტროიმ" მოუგო რიგის „დაუგავას" — 19:15 (11:8). თითო მოგება და წაგება აქვთ თბილისის „ბურევესტნიკს", მინსკის „პოლიტექნიკს", კაუნასის „ჟალგირისს" და ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის". არც ერთი ქულა არა აქვს რიგის „დაუგავას".

ქალთა გუნდებმა II ტურში ასე ითამაშეს: „შვიესა" (ვილნიუსი) — „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) 8:14 (5:6), „ლოკომოტივი" (ოდესა) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 11:22 (6:9), ბინათმშენებლობის კომბინატი № 3 (კიევი) — „სპარტაკი" (ბაქო) 7:9 (3:5). ქალთა გუნდებში ორი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს კაუნასის „ჟალგირისი" (4 ქულა), II-III ადგილებს იყოფენ ბაქოს „სპარტაკი" და სვერდლოვსკის „კალინინეცი" (3-3), ოდესის „ლოკომოტივს" 2 ქულა აქვს, ვილნიუსის „შვიესას" და კიევის ბინათმშენებლობის კომბინატს ჯერ თითო ქულაც არ აუღიათ.

ივანო-ფრანკოვსკი, 19 მარტი. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს და ახლა ივანო-ფრანკოვსკის ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერები არიან (4 ქულა). მათ დიდი სხვაობით დაამარცხეს კიეველი არმიელები—26:16 (14:6). მოსკოვის „კუნცევომ" გაჭირვებით მოუგო კრასნოდარის „ბურევესტნიკს" — 14:12 (5:8), ლვოვის ასკ-მ დაამარცხა ბაქოელი თანაკლუბელები — 19:17 (12:10). მოსკოვის „კუნცევოს", კრასნოდარის „ბურევესტნიკს", ლვოვისა და კიევის არმიელებს 2-2 ქულა აქვთ. ჯერ ქულა არ მოუპოვებია მხოლოდ ბაქოს არმიელთა კოლექტივს.

ქალთა გუნდებში 4-4 ქულით ლიდერობენ კიევის „სპარტაკი" და მოსკოვის „ლუჩი". პირველმა მორიგი მატჩი მოუგო ჩერკასის „ბურევესტნიკს" —12:9 (5:5), ხოლო მეორემ — ალმა-ათის „ბურევესტნიკს" — 17:10 (7:3). კიევის „ბურევესტნიკმა" გაიმარჯვა ტაშკენტის „ტექსტილშჩიკთან" შეხვედრაში — 10:8 (3:3). ტაშკენტის „ტექსტილშჩიკსა" და კიევის „ბურევესტნიკს" ამჟამად 2-2 ქულა აქვთ, ხოლო ალმა-ათისა და ჩერკასის ბურევესტნიკელებს გათამაშების ცხრილში თითო ქულაც არ ჩაუწერიათ.

## მასპინძელთა უპირატესობით

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

კიევი. გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა, კიევის ასკ-მ მიიღო თბილისის „ბურევესტნიკი". მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 78:65.

ტარტუ. ადგილობრივმა „კალევმა" მეორე მატჩიც მოუგო რიგის არმიელთა კოლექტივს — 75:70.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 28 | 21 | 7 | 1998—1868 | 21 |
| ასკ (კიევი) | 31 | 21 | 10 | 2198—2030 | 21 |
| „დინამო" (თბილისი) | 30 | 20 | 10 | 2196—2057 | 20 |
| ცსკა | 30 | 18 | 12 | 1936—1863 | 18 |
| „კალევი" (ტარტუ) | 32 | 17 | 15 | 2163—2094 | 17 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 30 | 17 | 13 | 1980—1951 | 17 |
| ვეფ (რიგა) | 30 | 16 | 14 | 2137—2116 | 16 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 30 | 15 | 15 | 2143—2100 | 15 |
| ასკ (რიგა) | 32 | 14 | 18 | 2318—2324 | 14 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 29 | 13 | 16 | 1864—1849 | 13 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 32 | 6 | 26 | 2174—2464 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 32 | 5 | 27 | 2321—2719 | 5 |

## ა. ცხოვრებოვი — ტურნირის ლაურეატი

თეირანი, 19 მარტი. 8 ოქროს, 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. აი, ასეთი მდიდარი მოსავალი მოიმკეს ჩვენმა სპორტსმენებმა ირანის დედაქალაქში დამთავრებულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში. ასპარეზობაში 6 ქვეყნის — ბულგარეთის, ირანის, პაკისტანის, რუმინეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. საშუალო წონაში I იყო თბილისელი ა. ცხოვრებოვი, ქვემძიმეში — ვ. გულიუტკინი, მძიმეში — ა. მედვედი.

გუნდური პირველობა მასპინძლებმა მოიპოვეს — 42 ქულა, II იყო სსრ კავშირის გუნდი — 39, III — ბულგარეთი — 32.

## ლექტორთა ფორუმი

„მექსიკა — XIX ოლიმპიური თამაშების ქვეყანა", „საერთაშორისო სპორტული მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე", „კომკავშირი და ფიზიკური კულტურა", „სპორტის ხალხურ-ეროვნული სახეობები საქართველოში"...

აი, ნაწილი იმ ლექციებისა, რომლებსაც ლექტორთა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საკითხებზე მოწვეულ რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე წაიკითხავენ.

ამ კარგ ღონისძიებას, რომელიც 20 და 21 მარტს გაიმართება, ატარებენ საქართველოს სპორტკავშირი და საზოგადოება „ცოდნა".

## ურუგვაის შემდეგ ბრაზილია

მონტევიდეო, 19 მარტი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ ბოლო მატჩი გამართა ურუგვაის ნაკრებთან და გაიმარჯვა — 63:55. უნდა აღინიშნოს, რომ ურუგვაის გუნდი შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. დებიუტანტებმა სიცოცხლე და ტემპერამენტი შემატეს ისედაც ტემპიან გუნდს.

სწორედ მასპინძლების თავბრუდამხვევი სისწრაფე შეტევებსა და გადაცემებში იყო იმის მიზეზი, რომ მასპინძლებს პირველ ტაიმში დიდხანს მიჰყავდათ ანგარიში. მსოფლიო ჩემპიონს მთელი თავისი ოსტატობის მობილიზება დასჭირდა, რათა მოეგო ტაიმი — 29:23.

მასპინძლებმა ფარხმალი არც მეორე ტაიმში დაყარეს. ერთხანს მათ ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, მაგრამ ბოლომდე არ ეყოთ გამოცდილება და დამარცხდნენ. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო პოლივოდა, რომელმაც ჩვენს გუნდს 16 ქულა შესძინა.

სსრ კავშირის კალათბურთელები ბრაზილიაში გაემგზავრნენ.

## ყველა გაცურვაში

მინსკში გრძელდება მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ნ. უსტინოვას მიერ წინასწარ შეჯიბრებაში დამყარებულმა საკავშირო რეკორდმა (2.17,9) მხოლოდ მეორე დღემდე გაძლო — ფინალში ამ შედეგს 0,1 წამი ჩამოაკლო ა. რუდენკომ. პირველობა კი ო. კოჟიჩევამ (ჩეხოსლოვაკია) მოიგო ქვეყნის ახალი რეკორდით — 2.15,2.

სსრ კავშირის ვაჟთა ახალი რეკორდი დაამყარა ვ. კრავჩენკომაც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. მისი შედეგი 2.16,6 მისსავე შარშანდელ მიღწევას 0,3 წამით სჯობს.

თითქმის ყველა გაცურვაში ემხობოდა ქვეყნის რომელიმე რეკორდი. ასპარეზობის 3 დღის მანძილზე რამდენიმე ეროვნული რეკორდი გააუმჯობესეს ჩვენმა სტუმრებმაც. მაგალითად, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჰ. პენტერმანმა დაამყარა ჰოლანდიის რეკორდი ქალებისთვის — 2.34,6. ვაჟებში ამავე სტილით ამავე დისტანციაზე ცურვაში ზ. პავლეტმა პოლონეთის რეკორდს გადააჭარბა — 2.21,4, ვ. ბელიამ — რუმინეთისას — 2.26,4.

საინტერესო იყო ქალთა შეჯიბრება 100 მეტრზე ბრასით ცურვაში, სადაც ყველას გ. პროზუმენშჩიკოვამ აჯობა — 1.17,0. ვაჟებიდან 100 და 200 მეტრზე ბელალმა ცურვაში უძლიერესი იყო მსოფლიოს რეკორდსმენი რ. მათესი (გდრ) — 59,8 და 8.11,2. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალებში გაიმარჯვა ო. კოჟიჩევამ — 4.52,0, ვაჟებში — გ. ტურეცკიმ (სსრ კავშირი) — 4.24,9. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო ლ. ილიჩოვმა — 2.00,1, ბატერფლაით — ვ. ნემშილოვმა — 2.11,6.

• • •

სურათზე: მინსკის ახალი აუზი, სადაც მოცურავეთა შეჯიბრება ტარდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

შედგა III ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● **„ხულორი" (ვანი) — „სამცხე" (აწყური) 2:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

მატჩის დასაწყისი მასპინძელთა უპირატესობით აღინიშნა და უკვე მე-5 წუთზე ჯაფარიძემ გახსნა ანგარიში. მდგომარეობის გამოსწორება „სამცხეს" შეეძლო შესვენების შემდეგ, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია. შეხვედრის დამთავრებამდე ჩახუნაშვილმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა და ვანელმა ფეხბურთელებმა მეორე გამარჯვება ჩაიწერეს მიმდინარე გათამაშებაში.

● **„ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).**

თამაში პირველივე წუთებიდან საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. ანგარიში გახსნა „ფეიქარის" თავდამსხმელმა მანაგაძემ. ბათუმელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის და ჯიქიძემ 11-მეტრიანი დარტყმით შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

● **„გარეჯი" (საგარეჯო) — ასკ (თბილისი) 1:3. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

მართალია, პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია, მაგრამ არმიელთა უპირატესობა შესამჩნევი იყო. პირველი ბურთი გაიტანა საგარეჯოელმა თაბაგარმა და სტუმრებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზება: მუბლაძემ, ცარეკიძემ და საფაროვმა გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს — 3:1.

● **„სპარტაკი" (ბორჯომი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

შეხვედრა უკიდურესად დაძაბული გამოდგა. ორივე გუნდის კართან ხშირად იქმნებოდა საგოლე მომენტები, მაგრამ თავდამსხმელები გადამწყვეტ წუთებში არაზუსტად ურტყამდნენ მიზანში. გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, 25-ე წუთზე გაიტანა კაფაროვმა.

● **„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „აერო" (გალი) 1:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).**

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არაგვი" (მცხეთა) 2:1. მსაჯი ტ. გელოვანი (თბილისი).**

არც ერთ მოწინააღმდეგეს პირველ ტაიმში არ გამოუჩენია სწრაფვა გამარჯვებისკენ. მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოცოცხლდა თამაში, როცა სტუდენტებმა გახსნეს ანგარიში (გოცირიძე). საპასუხო ბურთი გაიტანა კაპანაძემ, რასაც ბოლო წუთებზე მოჰყვა გოგუაძის გადამწყვეტი გოლი.

● **„მესხეთი" (ახალციხე) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:0. მსაჯი ა. ჰკუასელი (თბილისი).**

85-ე წუთისთვის ანგარიში არ იყო გახსნილი. ამ დარჩენილ მცირე დროში ჩოხატაურელებმა ჯერ საკუთარ კარში გაიტანეს ბურთი, ხოლო შემდეგ საშუალება მისცეს დიაჩენკოს განემტკიცებინა ახალციხელთა გამარჯვება.

● **„კოლხეთი" (ცხაკაია) — „ისანი" (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).**

● **„სინათლე" (თბილისი) — „მშენებელი" (სიღნაღი) 3:0. მსაჯი ო. ჩიქობავა (ცხაკაია).**

თბილისელებმა გამარჯვება უზრუნველყვეს ჯერ კიდევ შესვენებამდე აივაზოვისა და იმნაძის მიერ გატანილი 2 ბურთის შედეგად. შემდგომში ტოგონიძემ კიდევ ერთი ბურთი გაგზავნა „მშენებლის" კარში.

● **„კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).**

* * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა რესპუბლიკურ გათამაშებაში მონაწილე I ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდების სია. ამ ჯგუფში თამაშები დაიწყება 7 აპრილს. მოგვყავს ზონათა შემადგენლობები:

**I ზონა:** „ვაზისუბანი" (გურჯაანი), „აბული" (ახალქალაქი), „სამგორი" (გარდაბანი), „ელმავალმშენი" (თბილისი), „განთიადი" (კასპი), „კოლმეურნე" (მარნეული), „თრიალეთი" (წალკა), „ტორპედო" (ქუთაისი), „ზემო ქართლი" (ხაშური), „გარისი" (თეთრი წყარო), „არაგვი" (დუშეთი), „ჰერეთი" (ლაგოდეხი), „შირაქი" (წითელწყარო), „ბახტრიონი" (ახმეტა), „მეტალურგი" (რუსთავი), „ვარძია" (ასპინძა).

**II ზონა:** „მეშახტე" (ტყვარჩელი), „ოდიში" (ზუგდიდი), „სალხინო" (გეგეჭკორი), „სამგურალი" (წყალტუბო), „კოლხიდმშენი" (ფოთი), „განთიადი" (ტყიბული), „დინამო" (ოჩამჩირე), „ცეცხლაური" (ქობულეთი), „ჭახურა" (საჩხერე), „ბარაკონი" (ამბროლაური), „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ), „მშენებელი" (ჭიათურა), „საირმე" (მაიაკოვსკი), „ელექტრიკი" (ქუთაისი), „განთიადი" (აბაშა), „კოლხეთი" (ხობი), „იმერეთი" (თერჯოლა), „განახლება" (ადიგენი).

* * *

მოგვყავს საქართველოს ჩემპიონატის IV ტურის კალენდარი (24 მარტი): „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ხულორი" (ვანი), „ფეიქარი" (წულუკიძე) — „სამცხე" (აწყური), ასკ (თბილისი) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი), „ქართლი" (გორის რაიონი) — „გარეჯი" (საგარეჯო), „აერო" (გალი) — „სპარტაკი" (ბორჯომი), „არაგვი" (მცხეთა) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), „ბახმარო" (ჩოხატაური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „ისანი" (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე), „მშენებელი" (სიღნაღი) — „კოლხეთი" (ცხაკაია), „ლაითური" (მახარაძე) — „სინათლე" (თბილისი), „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „დურუჯი" (ყვარელი).



# ლიდერი მაინც ლიდერობს

**ბელგრადი,** 19 მარტი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). აქ მიმდინარე ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება შედგა. ა. კუშნირმა მოუგო ლ. იოვიჩ-ქივკოვიჩს (იუგოსლავია), რ. იოვანოვიჩმა (იუგოსლავია) — ფ. ჰეემსკერკს (ჰოლანდია), ვ. ასენოვამ (ბულგარეთი) — ქ. გოლუბ-რაძიკოვსკას (პოლონეთი) და ჰ. კონარკოვსკამ (იუგოსლავია) — ე. ბილეკს (უნგრეთი). ყაიმით დასრულდა ჰ. კონარკოვსკა — რ. იოვანოვიჩის შეხვედრა.

VII ტურში დიდი სენსაცია გამოიწვია მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩის წაგებამ ვ. ასენოვასთან. ეს იმდენად მოულოდნელი გახლდათ, რომ ლიდერის მეტოქეები... ყაიმით დაკმაყოფილდნენ. ნ. გაფრინდაშვილი დაუზავდა კ. იოვანოვიჩს (იუგოსლავია), ხოლო ა. კუშნირი — ჰ. კონარკოვსკას. მხოლოდ ა. ნიკოლაუმ (რუმინეთი) ისარგებლა მომენტით და მოუგო ფ. ჰეემსკერკს. წაგების მიუხედავად იუგოსლაველი ოსტატი მაინც ლიდერად დარჩა.

მ. ლილიაკმა (იუგოსლავია) მოუგო ქ. გოლუბ-რაძიკოვსკას, ხოლო ტ. შტადლერ (იუგოსლავია) — ლ. იოვიჩ-ქივკოვიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ. დაუმთავრებელი დარჩა რ. იოვანოვიჩ — ე. ბილეკის შეხვედრა.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი — 6 ქულა, ნ. გაფრინდაშვილი — 5,5, ა. ნიკოლაუ — 5, ა. კუშნირი — 4,5 და მ. ლილიაკი — 4.

# ყველა რომ ზრუნავდეს...

ამას წინათ თბილისში გაიმართა საბრძოლო-სამოყვარულო სპორტის (სასტენდო სროლა) ფედერაციის პლენუმი, რომელზეც საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე დ. მარგალიტაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოში მომზადდა 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 8 სპორტის ოსტატი და ათობით პირველთანრიგოსანი. დიდ წარმატებას მიაღწია ადგილიდან მსროლელთა გუნდმა, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში ჩემპიონობა მოიპოვა. იგივეს ვერ ვიტყვით მრგვალ სტენდზე მსროლელებზე, რომლებიც ამ დიდ შეჯიბრებაში XV ადგილს დასჯერდნენ. მათი წარუმატებლობის გამო საქართველოს გუნდი კომპლექსში მხოლოდ VI ადგილზე გავიდა. დ. მარგალიტაძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარებას ბევრი რამ უშლიდა ხელს. მაგალითად, თბილისის მონკავშირის სტენდზე წვრთნა ფერხდებოდა. სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის მხოლოდ მონკავშირი, სამხედრო მონადირეთა საზოგადოება და „ლოკომოტივი" ზრუნავენ. სხვა საზოგადოებებში კი რეზერვის აღზრდის საქმე მეტისმეტად დაბალ დონეზე დგას.

მწვრთნელთა საბჭოს მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამ საბჭოს თავმჯდომარემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა. მან თქვა, რომ სპარტაკიადაში მრგვალ სტენდზე მსროლელთა წარუმატებლობის მიზეზია ზოგიერთი მსროლელის უდისციპლინობა, რაც მათ შეკრებაზე გამოიჩინეს. მანვე ილაპარაკა ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში გადამჭრელ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობაზე, თქვა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს დაბალთანრიგოსნებთან სისტემატურ მუშაობას.

საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. ცინცაძემ შეკრებილთ მსაჯთა კოლეგიის მუშაობა გააცნო. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში თანდათან კლებულობს მსაჯთა რიცხვი, არ ეწყობა ახალგაზრდა არბიტრების მოსამზადებელი სემინარები, ყოველივე ამის გამო კი ხშირად სპორტსმენები მსაჯობენ. მაგალითად, ცინცაძემ დაასახელა აჭარის სპორტკავშირი, რომელმაც სროლაში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდებაზე ფეხბურთელი მეავია წარადგინა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი გ. ნოდია (აფხაზეთი). მან მკაცრად გააკრიტიკა აფხაზეთის სპორტული საზოგადოებრიობა, რომელიც სასტენდო სროლის განვითარებას სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ქუთაისელმა კ. ლორიამ თქვა, რომ იქაურ მსროლელებს ტყვია-წამალი არ აქვთ.

საქართველოს მონკავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. როსტიაშვილმა აღნიშნა, რომ დასაგმობია გუნდიდან გუნდში სპორტსმენთა გადასვლის მავნე ტრადიცია. მან გააკრიტიკა პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, რომლებიც სპორტსმენებს შეჯიბრების წინ ეძებენ და მათ გადაბირებას ცდილობენ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე, სპორტის ოსტატებმა შ. ჩახნაშვილმა, მ. კუროჩკინმა და სხვ.

პლენუმმა აირჩია ფედერაციის ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ არჩეულია დ. მარგალიტაძე.

**ჯ. მოწონელიძე.**

# რაიონებში [illegible]

**✦ მაიაკოვსკი**

მოსწავლეთა გუნდურ საჭადრაკო პირველობაში რაიონის 13 საშუალო სკოლა ჩაება (თვითეულ გუნდში 2 ვაჟი და 1 გოგონა იყო). I ადგილი დაიკავა მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის, II — მაიაკოვსკის სახელობის, III — სოფ. დიმის სკოლის გუნდმა.

გოგონათა პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ე. გოგსაძემ (ე. ნინოშვილის სახელობის სკოლა), ვაჟებში I-II ადგილები გაიყვეს გ. ბასილაძემ (ე. ნინოშვილის სახელობის სკოლა) და რ. ცერცვაძემ (დიმის 1-ლი სკოლა). მეორე დაფაზე პირველი იყო მ. გიორგაძე (სოფ. ზევნის სკოლა).

**ი. ხაზარაძე.**

**✦ სოხუმი**

მოჭადრაკეთა გუნდურ შეჯიბრებაში სოხუმის რაიონის გაზეთ „კომუნისტური შრომის" მიერ დაწესებული თასი მოიგო სოფ. ბესლეთის ნაკრებმა (მ. ქოჩიბაია, შ. კაკულია, ნ. კაკულია).

**შ. ჯალაღონია.**

# ახალი ამბები

● **სვერდლოვსკი,** 18 მარტი. **ფინეთის, შვეციისა და რსფსრ-ს მოციგურავეთა მატჩში გრენობლის ოლიმპიადის მონაწილემ ი. ეგოროვამ მესამე გამარჯვება 1000 მეტრზე რბენაში იზეიმა — 1.35,7. ვაჟთა მრავალჭიდში უძლიერესი იყო ე. სანდლერი (შვეცია) — 180,878 ქულა. ირკუტსკელმა ს. სელიანინმა მოიგო სტაიერულ დისტანციებზე რბენა. სსრ კავშირის რეკორდსმენმა 5000 მეტრზე 7.38,2 აჩვენა, ხოლო 10000 მეტრზე — 15.56,0. მრავალჭიდში სელიანინი II იყო.**

# ფიშერის, ლარსენისა

იუგოსლაველმა ჟურნალისტმა დ. ბელიცამ ეს ინტერვიუ რ. ფიშერს, ბ. ლარსენსა და ვ. კორჩნოის ჩამოართვა ტუნისის საზონათაშორისო ტურნირის დღეებში.

● **თქვენს რომელ პარტიებს იგონებთ ყველაზე ხშირად?**

**ფიშერი:** დ. ბირნზე გამარჯვებას აშშ-ს პირველობაში. მაშინ 13 წლის ვიყავი და საგანგებო პრიზი მივიღე ლამაზი პარტიისთვის.

**კორჩნოი:** ყველაზე მეტად დამამახსოვრდა პარტია გელერთან სსრ კავშირის 1960 წლის პირველობიდან. იგი შავებით მოვიგე და პირველად გავხდი სსრ კავშირის ჩემპიონი.

**ლარსენი:** არასოდეს დამავიწყდება გელერთან 1966 წლის მატჩის უკანასკნელი პარტია.

● **პეტროსიანი ამბობს, რომ ახლა მსოფლიო ჩემპიონი მხოლოდ პირველია თანასწორთა შორის. თუ ეთანხმებით მას?**

**ფიშერი.** არ ვიზიარებ მსგავს ფილოსოფიას. მსოფლიოში არის ყველაზე კარგი, კარგი და უფრო სუსტი მოჭადრაკე.

**კორჩნოი:** მსოფლიო პირველობა რომ ტურნირებისა და მატჩების სისტემით ტარდებოდეს, მაშინ, ნამდვილად უძლიერესიც იქნებოდა ის, ვინც ორივე შემთხვევაში ჩემპიონობას მოიპოვებდა, პეტროსიანი მართალია, და თუ ბობი არ ეთანხმება, ითამაშოს სსრ კავშირის პირველობაში და სცადოს პირველი ადგილის დაკავება.

**ლარსენი:** იმას, რაც პეტროსიანს უთქვამს, ტალიც ამბობს. ვეთანხმები მათ.

● **სამართლიანია თუ არა მსოფლიო პირველობის გათამაშების არსებული სისტემა?**

**ფიშერი:** ჩემი აზრით, კანდიდატთა მატჩში ცოტაა ათი პარტია.

**კორჩნოი:** იქნებ სჯობდეს ხან ტურნირების, ხან მატჩების თამაში.

**ლარსენი:** ვფიქრობ, რომ ზონალური და საზონათაშორისო ტურნირები საჭირო არ არის. საკმარისია მსოფლიოს 16 უძლიერესი დიდოსტატის ტურნირის გამართვა. გამარჯვებული შეხვდეს ჩემპიონს.

● **თქვენი აზრით, ვინ ითამაშებს კანდიდატთა ფინალურ მატჩში და ვინ იქნება შემდეგი მსოფლიო ჩემპიონი — პეტროსიანი თუ კანდიდატთა ტურნირში გამარჯვებული?**

**ფიშერი:** არ მიყვარს ასეთი შეკითხვები, მაგრამ წარმატების იმედი რომ არ მქონოდა, არც ვითამაშებდი.

**ლარსენი:** კანდიდატთა ტურნირის ფინალში მე და ტალი შევხვდებით ერთმანეთს. მჯერა, რომ გავიმარჯვებ. შემდეგი მსოფლიო ჩემპიონი მე ვიქნები.

**კორჩნოი:** მინდა ლარსენს ვუპასუხო: თქვენ იქნებით მსოფლიო ჩემპიონი იმ შემთხვევაში, თუ ბედი ჩემთან არ შეგახვედრებთ. პირადად მე დარწმუნებული არა ვარ, რომ მაგ სახელს მოვიპოვებ.



რ. ფიშერი



ბ. ლარსენი



ვ. კორჩნოი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1. ჟენევა და ჟენეველები

## შვეიცარიული დღიურიდან

ჟენევას რომ ახსენებენ, თვალწინ წარმოგიდგებათ საერთაშორისო მნიშვნელობის თავყრილობათა — კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმების სარბიელი, ქალაქი მუდამ ფიქრებში ჩაფლული, საქმიანი, უხალისო, მუქი და გულჩახვეული. როცა ექსპრესმა ციურიხიდან ჟენევაში ჩაგვიყვანა, ეს წარმოდგენა გამართლდა. საღამოს 9 საათისთვის ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო, იშვიათად მოძრაობდა ტრანსპორტი, დაგვიანებული თითო-ოროლა მგზავრი სწრაფი ნაბიჯით მიაბიჯებდა.

— ნუთუ ასე ადრე წყდება ცხოვრება ამ საყოველთაოდ ცნობილ ქალაქში? — ვეკითხებოდით ერთმანეთს ახლადჩასული საბჭოთა ჟურნალისტები.

მაგრამ საკმარისი იყო ქალაქის მარცხენა სანაპიროზე გასვლა და მივხვდით, რომ ჟენეველებს არ ეძინათ. ათობით რესტორანი, კაფე და ამ ტიპის სხვა დაწესებულებანი სავსე იყო კლიენტებით. ყოველ ნაბიჯზე ხომ კინოთეატრია და არც ეს გასართობები იყო მოცლილი.

ჟენევა დილაადრიან იღვიძებს. მოფუსფუსე ხალხით ივსება არც თუ ფართო ქუჩები. ყოველ ნაბიჯზე განთქმული შვეიცარიული საათების მაღაზიები. საათები — ავტომატები, საათები — მომღერლები, საათები — ინსტრუმენტები, ხანთებელა, საათი — ბეჭედი, საყურე, ჰალსტუკის დასამაგრებელი. და ასე გაუთავებლად: საათები, საათები, საათები.

საოცარი ხალხი ყოფილა ჟენეველები. ყოველ ნაბიჯზე ხალისიანი მოსაუბრე. მოსაუბრე და მერე როგორი. ფრანგულად რომ მიესალმებიან ერთმანეთს, გერმანულად განაგრძობენ საუბარს, შემდეგ იტალიურზე გადავლენ და პირიქით. მშობლიურ, შვეიცარიულ ენაზე კაცი არ ლაპარაკობს. გვითხრეს, შვეიცარიულს აი, იქ, შორს მთებში გაიგონებთო. აბა, ასობით კილომეტრის გავლა ღირდა, ორი სიტყვა რომ მოგვესმინა როტო-რომანული ენისა?

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჟენეველები ხალისიანი, თავაზიანი ხალხია. მათი თავაზიანობა საბჭოთა ჟურნალისტებმაც გამოვცადეთ. ერთ იქაურ მკვიდრს ქალაქის ერთ-ერთი ადგილის ჩვენება ვთხოვეთ. ჯერ გაწითლდა, შემდეგ გაყვითლდა, პირდაპირ სირცხვილით დაიწვა, გზა რომ არ იცოდა. იმდენი იბოდიშა, ჩვენც დაგვღალა და ალბათ თვითონაც დაიღალა. უცხოელებით სავსეა ქალაქი. ჟენევა ხომ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის ადგილსამყოფელია. აქ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, წითელი ჯვრის, შრომის მსოფლიო ორგანიზაციები, ათასნაირი უცხოური დაწესებულებები. ბანკებს ხომ თვლა არა აქვს. არ დამითვლია, მაგრამ ალბათ ასე იქნება, — საათების რამდენი მაღაზიაც არის ქალაქში, მე მგონი, იმდენი ბანკიცაა, ბანკი ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის, ისრაელის, ინდოეთისა და ხუთივე კონტინენტის ყველა ქვეყნისა.

... ჟენევაში თუ ცოტა ფრთხილად არ იქენი, შეიძლება ავტოტრანსპორტის მსხვერპლი გახდე. ავტომანქანების რიცხვი ადგილობრივ მოსახლეობაზე მეტია. ქალაქში ისეთი თავბრუდამხვევი მოძრაობაა, რომ ხანდახან გადასასვლელზეც კი საშიშია გადასვლა. რა ფორმის მანქანას არ შეხვდებით ჟენევაში, — ამერიკული, გერმანული, საბჭოური, ფრანგული, იტალიური და სხვა ქვეყნების ფირმების ნაწარმი. მათი საკუთარი წარმოების მანქანები ვერ ვნახეთ, თუმცა გვითხრეს, შვეიცარიამ ჯერჯერობით საბარგო მანქანების გამოშვება აითვისა, მალე კი გზატკეცილზე ჩვენი მსუბუქი ავტომობილებიც გაჩნდებაო.

შვეიცარიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე, ბუნებრივი პირობებით შესანიშნავი, უხვმზიანი ქალაქი ჟენევა საუკუნეების განმავლობაში იზიდავდა უცხოელ ტურისტებს და სწორედ ტურიზმია ამ ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. მარტის თვე იყო. ჩვენ არ ვიცით ჟენევის გარეუბნის ფეშენებელურ კურორტებზე ისვენებდნენ თუ არა ამერიკელი, ფრანგი ან იტალიელი მილიონერები. ალბათ არა, რადგან ფიგურული სრიალის ოსტატთა მსოფლიო პირველობაზე სპორტის სასახლის ცენტრალური ადგილები, სადაც დასაჯდომი ბილეთის ფასი მდიდრების ხელმისაწვდომია, ხშირად ცარიელი იყო. ხალხით ივსებოდა შედარებით „იაფი" ტრიბუნები.

ჟენევა რომ გამოჩენილ ადამიანებს იზიდავდა და იზიდავს, ბევრ შენობაზე გაკრული მემორიალური დაფებიც მოწმობენ. ჟენევასთან ბევრითაა დაკავშირებული ჟ. კალვინის, ვოლტერის, ჟან ჟაკ რუსოს მოღვაწეობა. 1895 წლიდან 1908 წლამდე აქ ხშირად ჩამოდიოდა და ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი.

ჟენევის მკვიდრთა სტუმართმოყვარეობაზე, ხელგაშლილობაზე ლეგენდები არ დადის. არ გაგიმასპინძლდება, არც გაუკვირდება თუ სამაგიეროს გაუკეთებ. სპორტის სასახლისკენ მიმავალ მაგისტრალზე მდებარე ერთი საკმაოდ ძვირადღირებული რესტორნის სარკმლის იქით კარგად ჩანდა მაგიდას მიმჯდარი შუახნის კაცი, რომელსაც წინ რაღაც სასმელით ნახევრადსავსე ჭიქა ედგა. 3 საათს შემდეგ იმავე გზით დაბრუნებულს ისევ იმ „მოქეიფე" პიროვნების ფიგურა მეცა სახეში, იგივე ადგილი, იგივე ნახევრადსავსე ჭიქა.

გარეთ სუსხია, იქ კი თბილა, ერთ ჭიქა ღვინოს შეიძლება მთელი დღე უჯდე რესტორანში. იჯდა ჩემთვის უცნობი ეს მამაკაცი და ვინ იცის, რამ დაისადგურა მის გონებაში, რა იყო ასეთი განმარტოების მიზეზი. ყველას რომ ასე გავყოლოდით, შორს წაგვიყვანდა ბევრი შვეიცარიელის ბედუკუღმართი ცხოვრების გაცნობა.

ქალაქსა თუ ქალაქგარეთ მიდამოებს რომ ვათვალიერებდით, ძალზე გვიკვირდა ჟენეველების სამხედრო ვარჯიში ველზე. ნეიტრალური ქვეყანაა, ომის საშინელება თავს არ დასტყდომიათ, ცხოვრობენ უზრუნველად, წყნარად. ვის სჭირდება შვეიცარიელების სამხედრო სამსახური? როგორც გავიგეთ, შვეიცარიელი მამაკაცი 60 წლამდე ჯარისკაცია. მან ყოველწლიურად უნდა გაიაროს მოკლევადიანი სამხედრო შეკრება, მუდამ მზადყოფნაში უნდა ჰქონდეს სამხედრო საჭურველი, რომელსაც შინ ინახავს.

მაშ ასე: „ერთი, ორი, სამი, სდექ!" — ხშირად ისმის ჟენევის ქუჩებში და ეს ამბავი მარტო ქალაქის სტუმრებს კი არა, ჟენეველებსაც ღიმილს ჰგვრის.

**ზ. ჯაფარიძე,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ჟენევა — თბილისი.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** მარცხნივ — **მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ამერიკელი ტ. ვუდი ასრულებს უძნელეს ილეთს.** მარჯვნივ ზევით — **შეხვედრება დამთავრდა. ჩვენ დები ვართ, სახელი და გვარი არ არის საჭირო, — ასე განუცხადა ჩვენს ფოტორეპორტიორს მ. ზარგარიანს ამ ორმა გოგონამ.** ქვემოთ — **ჟენევის გარეუბნის ერთ-ერთ ქუჩაზე.**







# და კორჩნოის აზრით...

ვინაიდან ადრე უკეთაც ვთამაშობდი და უფრო ღირსიც ვიყავი ჩემპიონთან მატჩისა.

**● რომელ საჭადრაკო მოვლენას მოუხდენია თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

**ფიშერი:** ვფიქრობ, რომ ახლა უჩემოდ არც ერთი ტურნირი არ იწვევს დიდ ინტერესს.

**კორჩნოი:** ისტორიაში ყველაზე დიდ ტურნირად დიდოსტატთა ჰოლანდიის 1938 წლის ტურნირი მიმაჩნია.

**ლარსენი:** ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება 1956 წელს მოსკოვში გამართულმა ოლიმპიადამ მოახდინა. მაშინ პირველად ვითამაშე უკეთ, ვიდრე მოველოდი.

**● ყველა ასეთი ოპტიმისტი რატომა ხართ?**

**ფიშერი:** ამას ჭადრაკი მოითხოვს.

**კორჩნოი:** ცნობილი მოჭადრაკეებიდან პესიმისტი მხოლოდ ერთი ყოფილა — შლეპტერი, ყველა დანარჩენი ოპტიმისტია.

**ლარსენი:** ეს ჩემი საჭადრაკო ძალის მთავარი ნაწილია.

**● თქვენი საჭადრაკო კერპები წარსულსა და აწმყოში?**

**ფიშერი:** ვფიქრობ, წარსულში საუკეთესო მოჭადრაკე იყო მორფი, ახლა არ ვიცი..

**კორჩნოი:** ესაა ოთხი ტიტანი: ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი და ბოტვინიკი.

**ლარსენი:** ჩემთვის სამაგალითონი არიან ნიმცოვიჩი და ლასკერი, თანამედროვე მოჭადრაკეებიდან — ბოტვინიკი, ბრონშტეინი და ტალი.

**● რას ფიქრობთ ერთმანეთზე?**

**ფიშერი:** კორჩნოი საბჭოთა მოჭადრაკეთა საუკეთესო სამეულშია. ჰავანის ტურნირში ბრწყინვალე შედეგის მიხედვით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ლარსენი უძლიერესია მსოფლიოში (სსრ კავშირს არ ვგულისხმობ).

**კორჩნოი:** ფიშერი გამარჯვებისთვის პროგრამირებული მანქანაა, მაგრამ შემოქმედებითი ელემენტი აკლია. იგი ძლიერია სპორტული თვალსაზრისით, რადგან მანქანა არ ცდება. ლარსენი — ნათელი მოჭადრაკეა, ყველა დიდოსტატისთვის სახიფათო.

**ლარსენი:** ვფიქრობ, ფიშერს სუსტი ნერვები აქვს. მინდა, რომ იგი ნორმალურად იქცეოდეს. კორჩნოიზე, როგორც ყოველთვის, ახლაც ვიტყვი, რომ კარგი მოჭადრაკეა.

**● როგორ დამთავრდება თქვენი შეხვედრები ერთმანეთთან, ვთქვათ, ათპარტიან მატჩებში?**

**ფიშერმა** არ უპასუხა:

**კორჩნოი:** მატჩში გამარჯვება რამდენადმე სტილზეცაა დამოკიდებული. ჩემთვის, მაგალითად, ლარსენის სტილი მისაღებია. მჯერა, რომ ლარსენს დავამარცხებდი, ფიშერის სტილი კი საჩემო არ არის...

**ლარსენი:** მჯერა, რომ ორივეს დავამარცხებდი ერთნაირი ანგარიშით — 5,5:4,5.

**● რა გიყვართ გარდა ჭადრაკისა?**

**ფიშერი:** მიყვარს მსუბუქი მუსიკა, ჩოგბურთი.

**კორჩნოი:** განსაკუთრებით მიყვარს უცხო ენების სწავლა, ამით ვერთობი ტურნირებში თავისუფალ დროს; მიყვარს მსუბუქი მუსიკა.

**ლარსენი:** პოლიტიკა მაინტერესებს, თუმცა მასში აქტიურად არ ვერევი. მიყვარს კლასიკური მუსიკა.

**● როგორ გრძნობთ თავს, როცა აგებთ?**

**ფიშერი:** ძალიან ვბრაზდები, როცა უბრძოლველად წავაგებ. თუმცა, შემდეგ პარტიას იმედით ველოდები.

**კორჩნოი:** საშინლად ვბრაზობ.

**ლარსენი:** ჩემთვის ეს ნორმალურია. ბევრს ვიგებ და ამიტომ უნდა წავაგო კიდეც, ამას შეიძლება შევეჩვიო.

fotbal • calcio • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS • NOGOMET

# ბრალი ედებათ მეთიუზსა და გარინჩას

— ამ ამბის გამო არაფრის თქმა არ მსურს, — უთხრა მის მომლოდინე ჟურნალისტებს მეტიუზმა. მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს მრავალსაათიანი სხდომის შემდეგ, რომელიც ლონდონში გაიმართა ინგლისის საფეხბურთო ლიგის წარმომადგენლებთან ერთად. მეტიუზმა ვერაფერს მიაღწია და პორტ ვეილს გაემგზავრა.

ჟურნალისტებმა ირონიულად შენიშნეს, რომ მეტიუზმა თავისი საფეხბურთო კარიერის 30 წლის მანძილზე პირველად არ მისცა მათ ინტერვიუ. მაგრამ ჟურნალისტებს სტენლის პასუხების გარეშეც საკმარისი მასალა დაუგროვდათ.

თითქმის ერთ თვეს გასტანა „პორტ ვეილის“ კლუბის „საქმეთა“ განხილვამ. იმ კლუბისა, რომლის გენერალური მენეჯერიც ბოლო სამ წელიწადს მეტიუზი იყო. ორი თვის წინ პრესაში გამოჩნდა ცნობები ამ კლუბის „ბნელ საქმეებზე“. მაშინ ეს ამბავი ბევრმა ისე მიიღო, თითქოს მეტიუზს განგებ აყენებდნენ ჩრდილს. ის ხომ თავისებური იდეალი იყო ინგლისელი პროფესიონალი ფეხბურთელისა. ამ სამი წლის უკან მას რაინდის წოდება მიანიჭეს. ამით მეტიუზს უფლება მიეცა თავისი სახელისათვის დაემატებინა თავსართი — „სერ“.

სტენლი მართლაც ფეხბურთისათვის თავგანწირული კაცის იდეალი იყო. მას 50 წლამდე არ მიუტოვებია ფეხბურთი, 54-ჯერ ითამაშა ინგლისის ნაკრებში და თავისი 30-წლიანი კარიერის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა მინდვრიდან გაძევებული. კიდევ მეტიც, მას ერთხელაც არ მიუღია მსაჯის შენიშვნაც კი. მაგრამ ასე იყო მინდორზე. მწვრთნელად მუშაობის დროს მეტიუზმა ველარ შეინარჩუნა თავისი იდეალები და რეპუტაცია.

— ალბათ, შეცდომაა, —ფიქრობდა ბევრი.

მაგრამ შეცდომა არავის მოსვლია. ფეხბურთის ლიგამ, რომელმაც მეტიუზის კლუბის საქმე გამოირკვია, ყველა ბრალდება დაამტკიცა.

არც ისე მნიშვნელოვანი გუნდი „პორტ ვეილი“ მხოლოდ მეოთხე პროფესიულ ლიგაში გამოდის.

რაში სდებენ ბრალს მეტიუზს? ნუ ჩამოვთვლით დაწვრილებით ექვს მთავარ ბრალდებას. ვთქვათ მხოლოდ, რომ კლუბი არალეგალურად უხდიდა ფულს მოსწავლე ფეხბურთელებს, რათა მათთვის რაღაც ვალდებულება დაეკისრებინა და შემდეგ პროფესიონალებში გადაეყვანა. ინგლისში აკრძალულია გასამრჯელოს თამაშამდე გადახდა პროფესიონალი ფეხბურთელებისათვისაც კი. პრემიებს მოთამაშეებს მხოლოდ მატჩის შემდეგ აძლევენ. პრემიების მოცულობა მკაცრად განსაზღვრულია. მაგრამ მეტიუზი თამაშამდე აძლევდა პრემიას თავის მოთამაშეებს „შთაგონების“ მიზნით. დაწესებულზე ბევრად მეტი იყო თანხის რაოდენობაც. იგი სხვა კლუბებიდან იწვევდა ფეხბურთელებს და მათაც უხდიდა აკრძალულ დამატებით ჰონორარს.

ერთი სიტყვით, „პორტ ვეილი“ ფულის საშუალებით აშკარად (ან თითქმის აშკარად) ცდილობდა თავისი სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებას

ფეხბურთის ასოციაციამ ყველა ბრალდება დამტკიცებულად მიიჩნია და კლუბი 2000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგ „მეტიუზის საქმე“ საფეხბურთო ლიგის აღმასრულებელ კომიტეტში გადაინაცვლა. ამ კომიტეტმა კლუბი კიდევ 2000 გირვანქით დააჯარიმა და შემდეგ გუნდი ინგლისის პროფესიონალური ლიგიდან გარიცხა. „პორტ ვეილის“ ისტორია ასე არც გახმაურდებოდა, სერ სტენლის სახელთან რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ არც მოშურნეები აკლდა. ახლა ისინი სიხარულით ცას ეწევიან, „საქმიან“ საკითხებში მეტიუზის გულუბრყვილობასა და გამოუცდელობაზე ლაპარაკობენ. ყველამ კარგად იცის, რომ მსხვილ, მდიდარ კლუბებში უფრო „დიდი საქმეებიც“ კეთდება, მაგრამ მათ შეუძლიათ საიდუმლოს შენახვა. მეტიუზი, რომელიც ინგლისის პროფესიულ ფეხბურთში პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების სიმბოლოდ ითვლებოდა, ახლა გამოეთხოვა ამ ეპითეტებს. თავად მეტიუზი დუმილს არჩევს. ან რა თქვას?

ზოგს ეცოდება იგი, ზოგი ბრალს სდებს. მაგრამ განა შეიძლება, რომ პროფესიული ფეხბურთის ფინანსურ მაქინაციებში მთავარი დამნაშავენი მეოთხე ლიგის პატარა კლუბში ვეძებოთ?

ამავე დღეებში ინგლისის ნაპირებიდან მრავალი ათასი კილომეტრის დაშორებით, ბრაზილიაში, სახელოვანი საფეხბურთო იუბილესთვის ემზადებიან. მუშავდება პროგრამა ზეიმისა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელთა პირველი გამარჯვების 10 წლისთავს ეძღვნება უნდა ჩატარდეს სენსაციური მატჩი მსოფლიოს ნაკრებსა და ბრაზილიის ნაკრებს შორის. მაგრამ შვეციისა და ჩილის ჩემპიონატებში მოპოვებული გამარჯვებების ერთ-ერთი გმირი გარინჩა კადრს მიღმა დარჩა. მრავალი სკანდალური თავგადასავლის შემდეგ, ჩილიში მიღებული მძიმე ტრავმის მოშუშების რამდენიმე ცდის შემდეგ მან ვერა და ვერ მიაღწია თავისას — ვერ დაუბრუნდა მინდორს, ვერ ჩადგა მწყობრში.

ბრაზილიის კლუბებს მსოფლიო ჩემპიონმა გვარიანად მოაბეზრა თავი. მათ ქველმოქმედების სურვილი არ ჰქონდათ და ბოლოსდაბოლოს უარი თქვეს გარინჩას სამსახურზე. მეგობრებმა და მფარველებმა თავიანთი ყოფილი კერპის „მძიმე ხასიათი“ მოიდეს მიზეზად (ადრე რატომღაც ამას ვერ ამჩნევდნენ) და გარინჩა მიატოვეს. ვალებში ჩაფლული, გაკოტრებული გარინჩა, რომელიც თავის ყოფილ ოჯახს ველარ ეხმარება, და მისი დიდი თანხაც მართებს, კანონზომიერ შედეგამდე მივიდა. მარტის პირველ რიცხვებში იგი რიოს ქუჩებში დაიჭირეს და სასამართლოს ჩააბარეს.

— სამი თვით პატიმრობა, — გამოაცხადა განაჩენი მოსამართლე კორნეირომ. და გარინჩას ზურგს უკან ციხის საკნის კარი ხმაურით დაიხურა.

გარინჩას დაჭერას არავითარი სენსაცია არ მოჰყოლია. ეს ამბავი სასამართლო ქრონიკის განყოფილებაში გამოქვეყნდა. ჩემპიონი კარგა ხანია ყველასთვის ზედმეტ ბარგად იქცა. რომელიღაც ჟურნალისტმა თქვა, რომ გარინჩა ბიზნესის სფეროში ბოლომდე გულუბრყვილო დარჩა. მან ვერ მოახერხა თავი მოეყარა ფულისთვის, როგორც ეს ზოგიერთმა მისმა მეგობარმა გააკეთა. ახლა ბრაზილიის გაზეთების სპორტულ გვერდებზე ახალგაზრდა ვარსკვლავებისა და ტალანტების ფოტოსურათები, მათზე რეპორტაჟები იბეჭდება. 34 წლის კაცი კი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს საუკეთესო მარჯვენა გარემარბად იყო აღიარებული, აღარავის ახსოვს. დიახ, გარინჩამ ვერ დააგროვა ფული. ახლა მას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. გარინჩას ფეხბურთის გარდა არაფერი შეუძლია. ბრაზილიის ფეხბურთს კი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატებში პირველი გამარჯვების 10 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება, გარინჩას სამსახური აღარ სჭირდება.

ვ. ვოლოდინი.

„სოვეტსკი სპორტი“, № 65.



სტენლი მეთიუზი



გარინჩა

## ცნობები საჭადრაკო სამყაროდან

▲ **მონტე-კარლო.** აქ 3 აპრილს დაიწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის ჩატარების ტრადიციაც შარშან აღადგინეს. სხვათა შორის, მაშინ I ადგილი რ. ფიშერმა დაიკავა. წლეულს ამერიკის ჩემპიონმა თამაშზე უარი განაცხადა.

დამტკიცდა ტურნირის შემადგენლობა: 11 დიდოსტატი და 3 ოსტატი. ესენი არიან: მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ბოტვინიკი და სმისლოვი; მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტები ლარსენი და პორტიში; დიდოსტატები: ულმანი (გდრ), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), გეორგიუ (რუმინეთი), მატანოვიჩი (იუგოსლავია), პადევსკი (ბულგარეთი), ორი დიდოსტატი აშშ-დან (მათი ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი), საერთაშორისო ოსტატი ფორინტოში (უნგრეთი) და ორი ფრანგი ოსტატი.

საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ლარსენის მოთხოვნა და საგანგებო ჰონორარს — 1000 დოლარს უხდის მას. ამიერიდან ლარსენი ყველა ტურნირში მონაწილეობისთვის ამ თანხას მოითხოვს.

▲ **ჰავანა.** როგორც აქაური გაზეთები იტყობინებიან, აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციამ აცნობა კუბის ფედერაციას, რომ მოჭადრაკეთა III პანამერიკულ პირველობაში რ. ფიშერი ითამაშებს. ეს ტურნირი ჩატარდება ჰავანაში 15 აპრილიდან 15 მაისამდე. სათამაშოდ მიწვეული არიან ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყნის ჩემპიონები.

▲ **მანილა.** ფილიპინების საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა ავსტრალიის, მალაიზიის, სინგაპურის, ტაილანდისა და ფილიპინების 15 მოჭადრაკე, აგრეთვე, იუგოსლაველი დიდოსტატი ს. გლიგორიჩი. მასპინძელთა წარმომადგენელმა, ოსტატმა ბალინასმა I-II ადგილები გაიყო სახელგანთქმულ დიდოსტატთან.

▲ **ვენესუელა.** ქვეყნის პირველობაში 9 მოჭადრაკემ ითამაშა. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ოსტატმა რობლესმა.

▲ **კოპენჰაგენი.** დანიის ჩემპიონის გამოსავლინებლად სლოტსა და ბრინკლაუსენს 7 პარტიის თამაში დასჭირდათ დამატებით მატჩში. გაიმარჯვა სლოტსმა — 4:3.

## ზუმინ...

ტაშკენტში შედგა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი. ითამაშეს მოსკოვის „ტორპედოსა“ და უელსის „კარდიფ-სიტის“ ფეხბურთელთა გუნდებმა. როგორც ცნობილია, მეტოქეთა პირველი შეხვედრა მოიგეს უელსელებმა — 1:0 და მოსკოველები რომ ნახევარფინალში გასულიყვნენ, 2 ბურთის განსხვავებით უნდა გაემარჯვათ.

მაგრამ ასე არ მოხდა. თუკი პირველ ტაიმში ინიციატივა მოსკოველების მხარეს იყო და 33-ე წუთზე გერშკოვიჩმა შესანიშნავი დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი, შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა და იყო ერთი-ორი მომენტი, როცა ჩვენი გუნდის კარი ოსტატურად იხსნა ა. კავაზაშვილმა. მატჩი მოიგო „ტორპედომ“ — 1:0.

გამარჯვებული არ გამოვლინდა. მეტოქეები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად, ნეიტრალურ მინდორზე.

## ოთხთა ტურნირი ზაგრებში

ზაგრების ცნობილი კლუბი, იუგოსლავიის არაერთგზის ჩემპიონი „დინამო“ მაისის შუა რიცხვებში აწყობს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა უკვე შეადგინეს თამაშების კალენდარი. ზაგრებში მასპინძლების გარდა გამოვლენ იტალიის ჩემპიონატის ახლანდელი ლიდერი „მილანი“, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებული „ბაიერნი“ და იუგოსლავიის პირველი ლიგის კლუბი „რიეკა“.

## კ. შოოშის წინადადებით

უნგრეთის ნაკრების ხელმძღვანელმა კ. შოოშმა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მოსთხოვა კომპეტენტურ სპეციალისტთა საბჭოს შექმნა, რომელმაც მას დახმარება უნდა გაუწიონ მოთამაშეთა შერჩევასა და დაწინაურებაში, აგრეთვე, მომავალ მეტოქეთა შესწავლაში.

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა. მწვრთნელთა საბჭოში შევიდნენ ნაკრების ყოფილი მწვრთნელები ბაროტი, ილოვსკი და ლაკატი.

## ტიხი ბრუნდება

უნგრეთის „დიდი გუნდის“ უკანასკნელი მოჰიკანი ტიხი ბუდაპეშტის „ჰონვედის“ უცვლელი ლიდერი და მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის მონაწილე იყო. უკანასკნელ წლებში იგი ხშირად არღვევდა სპორტულ რეჟიმს, რის შემდეგ შეირისხა არა მარტო ნაკრების მწვრთნელ ბაროტის, არამედ „ჰონვედის“ ხელმძღვანელ ბოჟიკის მიერაც. მთელი 1967 წლის მანძილზე ტიხი „ჰონვედის“ სათადარიგო მოთამაშის მდგომარეობამდე ჩამოქვეითეს.

„ჰონვედის“ ახალ მწვრთნელს კ. პრაიდერს, პირიქით, მიაჩნია, რომ ტიხის კარიერა ჯერ არ დამთავრებულა. ტიხი ახლა გაძლიერებით ვარჯიშობს და აპირებს დაუბრუნდეს მინდორს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 6 უე 07439